

ოჯახების შეფასების ქულათა სისტემა იცვლება

თარიღი: 19 აპრილი, 2012

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სოციალურად დაუცველ მრავალ ოჯახს ესტუმრა. ოჯახებში სტუმრობის მიზანი იმის დანახვა იყო, რამდენად რეალურად ასახავს შეფასების ქულათა სისტემა გაჭირვებული ადამიანების მდგომარეობას და მათ წინაშე მდგარ პრობლემებს.

მინისტრთან საუბრისას ძალიან ბევრმა ადამიანმა აღნიშნა, რომ გარკვეული საოჯახო ტექნიკა მნიშვნელოვნად გაიაფდა და დღეს აღარ წარმოადგენს ფუფუნების საგნებს. ამ საგნების ასახვა ოჯახის დეკლარაციაში ოჯახს ქულებს უმატებს და ოჯახმა ამის გამო შეიძლება სოციალური დახმარება და სახელმწიფო სადაზღვევო პოლისი დაკარგოს.

უახლოეს მომავალში დაიწყება ოჯახის მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის დახვეწა. იმავდროულად, მინისტრის ინიციატივით, უკვე ამ ეტაპზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ ოჯახების შეფასების სისტემიდან ამოღებულ იქნას ხანგრძლივი მოხმარების შემდეგი საგნები: კომპიუტერი, მტვერსასრუტი, მუსიკალური ცენტრი და ტოსტერი.

სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების დღეს მოქმედი მეთოდოლოგია შეიქმნა მსოფლიო ბანკის მიერ 2007 წელს ჩატარებული შინამეურნეობების ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების კვლევის ბაზაზე.